საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი – 309

ქ. თბილისი "03" 06 2009 წ.

Ш.პ.ს. „ქცია"-ს მიერ წარმოდგენილ ასფალტის წარმოების საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს Ш.პ.ს. „ქცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – მარნეულის რაიონში, ასფალტის წარმოების საქმიანობაზე.
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №57. 21.05.09. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს, გარემოს დაცვის ინსპექციას

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00223

კოდი M D 1 „03" „06" 2009 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შ.პ.ს. „ფლია"
2. საქმიანობის მიზანი	ასფალტის ნარმოება
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	მარნეულის რაიონი სოფ. აირაფლო
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	შ.პ.ს. „ეკოლოგენტრი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	კარიერზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N57; 21.05.09
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტ. დასკვნით გათვალისწ. პირობების შესრულების პირობით